რამდენიმე საკითხი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან

ლადო ქანტურია

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლე,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი

ელ. ფოსტა: lchanturia@gmail.com

აბსტრაქტი

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ქართულ სამართალში შედარებით ახალი მოვლენაა და მისი გამოყენება პრაქტიკაში ჯერ კიდევ ბადებს კითხვებს. ამ კითხვების ნაწილი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უფლებების განხორციელებას, კერძოდ, მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლებას უკავშირდება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (სტრასბურგის სასამართლო) ორ ქართულ საქმეზე მიიღო გადაწყვეტილება. სტატიაში განხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების მიხედვით საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ფუნქციონირების რამდენიმე საკითხი.

ევროპული კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-3 (წამების აკრძალვა) მუხლები კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს აკისრებს ამ მუხლებში განმტკიცებული არსებითი უფლებების სავარაუდო დარღვევის ფაქტზე ეფექტიანი ოფიციალური გამოძიების ჩატარების საპროცესო ვალდებულებას. სტრასბურგის სასამართლომ რამდენიმე ქართულ საქმეზე დაადგინა ეფექტიანი გამოძიების სტანდარტის დარღვევა. კერძოდ, დარღვევა გამოიხატა ერთდროულად ისეთი მოთხოვნების შეუსრულებლობაში, როგორებიცაა: გამოძიების დამოუკიდებლობა, ოჯახის წევრისთვის დაზარალებულის სტატუსით პროცესში ჩართვის შეუძლებლობა, მტკიცებულებათა არასათანადო შეფასება, გამოძიების არასრულყოფილება და მიკერძოებულობა, მართლმსაჯულების გაჭიანურება, დაზარალებულის სიცოცხლის არასათანადო დაცვა, გამოყენებული სასჯელის არაპროპორციულობა. სტატიაში განხილულია სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებები ამ საკითხებზე.

საკვანძო სიტყვები: მსაჯულები, გამოძიება, კონვენცია

SOME ISSUES FROM THE EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS CASE LAW

Lado Chanturia

Judge at European Court of Human Rights
Professor at Faculty of Law of Ivane javakhishvili Tbilisi State University

Email: lchanturia@gmail.com

ABSTRACT

The jury is relatively new institution in Georgian law and its usage in practice still arises questions. The part of these questions is related to exercising the rights established under of European Convention on Human Rights, namely, right to fair trial provided for in article 6. European Court of Human Rights (Strasbourg court) rendered a decision on Georgian cases. Article discusses several issues of functioning of the jury in Georgia according to European Court of Human Rights.

Articles 2 (right to life) and 3 (prohibition of torture) imposes on the member states of the convention the procedural obligation to conduct effective official investigation on the fact of violating fundamental rights envisaged in these articles. Strasbourg court has established the violation of effective investigation standard on several Georgian cases. In particular, the violation was expressed in simultaneously failure to fulfill such requirements as: independence of investigation, not giving a possibility to the family member to be involved in process as a victim, improper evaluation of evidences, incomplete and partial investigation, delay in justice, improper protection of victim's life, disproportional sentence used. Article discusses Strasbourg court decisions on these issues.

KEYWORDS: Jury, Investigation, Convention

შესავალი

ბატონი ოთარ გამყრელიძე ყველა თაობის ქართველი იურისტების განსაკუთრებულად სათაყვანებელი მეცნიერი, მასწავლებელი, კოლეგა და მეგობარია. ძნელია იმ სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატვა სიტყვებით, რომლითაც ქართული სამართალმცოდნეობის ეს ბერმუხა სარგებლობს საქართველოში. კიდევ მრავალ წელს აქტიური შემოქმედებითი მოღვაწეობის გულწრფელი სურვილით და ნიშნად დიდი პატივისცემისა ვუძღვნი ბატონ ოთარს წინამდებარე სტატიას, რომელშიც განხილულია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ფუნქციონირების რამდენიმე საკითხი და კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების საპროცესო ვალდებულებები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამოსამართლო სამართალში.

1. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკაში

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ქართულ სისხლის სამართლის პროცესში შედარებით ახალი მოვლენაა და მისი გამოყენება პრაქტიკაში ჯერ კიდევ ბადებს კითხვებს. ამ კითხვების ნაწილი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით (შემდგომში – კონვენცია) გათვალისწინებული უფლებების განხორციელებას, კერძოდ კი, მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლებას უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (შემდგომში – სტრასბურგის სასამართლო ან სასამართლო) უკვე ორ ქართულ საქმეზე მიიღო გადაწყვეტილება, რომლებიც უდავოდ იმსახურებენ ყურადღებას.

საქმეში *რუსიშვილი საქართველოს წინააღმდეგ*[1] **მომჩივანი ჩიოდა, რომ ნაფიცი მსაჯულების მიერ გამოტანილი ვერდიქტი არ შეიცავდა დასაბუთებას.** გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მისი საჩივარი დაუშვებლად გამოაცხადა. ამრიგად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტის დასაბუთებულობის საკითხი კიდევ ერთხელ გახდა სტრასბურგის სასამართლოს განხილვის საგანი.

ჩვეულებრივ სასამართლოს გადაწყვეტილებები განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი ეხება პირის ბრალეულობას, დასაბუთებული უნდა იყოს. დასაბუთების არარსებობა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევად მიიჩნევა. მიუხედავად ამისა, კონვენცია ნაფიცი მსაჯულებისაგან არ ითხოვს მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებას. კონვენციის მე-6 მუხლი არ გამორიცხავს განსასჯელის საქმის განხილვას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ.[2] ნაფიცი მსაჯულების მიერ პირის ბრალეულობის დადგენა დასაბუთების გარეშე თავისთავად არ იწვევს კონვენციის დარღვევას.[3] იმავდროულად, კონვენცია მოითხოვს, რომ **გამოტანილი ვერდიქტი გასაგები იყოს როგორც განსასჯელისთვის, ისე საზოგადოებისთვის**. ეს სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვისა და თვითნებობის თავიდან აცილების მნიშ-

1 The judgment of the European Court of Human Rights, *Rusishvili v. Georgia*, 30/06/2022, application 15269/13.

2 The judgment of the European Court of Human Rights, *Taxquet v. Belgium*, 29/11/2016, application 926/05.

3 The judgment of the European Court of Human Rights, *Lhermitte v. Belgium*, 29/11/2016, application 34238/09.

ო

ნუხილველად დატოვებას სათანადო დასაბუთების გარეშე, სასამართლომ ამ შემთხვევაში მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის დარღვევა დაადგინა. სასამართლოს აზრით, სააპელაციო სასამართლოს მნიშვნელოვანი საპროცესო გარანტიის ფუნქცია ეკისრებოდა, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სიახლეს და ქართული საპროცესო სამართლის კარდინალურ რეფორმას წარმოადგენდა (§ 77).* მომჩივნის მიერ სააპელაციო სასამართლოს წინაშე დასმული საკითხები სამართლებრივად მნიშვნელოვანი იყო და სააპელაციო სასამართლოს ამოცანას წარმოადგენდა ამ საკითხების ანალიზი და მათზე დასაბუთებული პასუხის გაცემა (§ 79).

საქმეში *კიკაბიძე საქართველოს წინააღმდეგ,*[7] რომელიც ასევე ნაფიც მსაჯულთა მიერ განხილულ საქმეს შეეხებოდა, მომჩივანი ჩიოდა, რომ მას არ მიეცა სათანადო დრო და შესაძლებლობა დაცვის მოსამზადებლად, ასევე სასამართლომ დაუსაბუთებლად უთხრა უარი მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების, კერძოდ, მოწმეთა დაშვებაზე. სასამართლომ ამ საქმეში სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა დაადგინა, რადგან მომჩივნის პირად ადვოკატს საქმის სასამართლოში განხილვის დაწყებამდე მხოლოდ ათი დღე ჰქონდა საქმის მასალების გასაცნობად. აღნიშნული საქმე საყურადღებოა იმითაც, რომ სასამართლომ ხაზი გაუსვა ბრალდებულისათვის საქმის მასალების დაუყოვნებლივ გადაცემის ვალდებულების დარღვევას, რომელიც საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით იყო გათვალისწინებული (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლი). მართალია, ბრალდებულს უკვე ჰყავდა სახელმწიფოს მიერ დანიშნული ადვოკატი, რომელსაც უფრო ადრე ჰქონდა წვდომა საქმის მასალებზე, მაგრამ სტრასბურგის სასამართლომ ეს გარემოება არ მიიჩნია გადამწყვეტად, ვინაიდან არსებითი იყო საქმის მასალების მოთხოვნის ფაქტზე დაუყოვნებელი რეაგირება და არა ის, თუ ვის მიერ იყო ეს მოთხოვნა დაყენებული, რაც შეესაბამებოდა საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლს საქმის მასალების დაუყოვნებლივ მიწოდებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა მხარეებმა ერთმანეთს და სასამართლოს უნდა მიაწოდონ იმ მომენტისათვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ, სასამართლოს შეფასებით, ეს ვადა არ გამორიცხავს დაუყოვნებლივ მიწოდების ვალდებულებას (§ 48). საგულისხმოა ისიც, რომ სახელმწიფოს მიერ დანიშნული ადვოკატი წინასასამართლო სხდომის შემდეგ აღარ მონაწილეობდა საქმის განხილვაში.

სასამართლოს აზრით, დასანანია, რომ წინასასამართლო სხდომის თავმჯდომარემ არ მიაქცია ყურადღება ამ გარემოებას და არ იმსჯელა მასზე. არადა, საქმის მასალებზე ხელმისაწვდომობა სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპის – იარაღთა თანასწორობის – განხორციელების არსებითი წინაპირობაა. მოსამართლე ვალდებული იყო ეზრუნა იმაზე, რომ დაცვის მხარის სირთულეები მოეგვარებინა ნაფიც მსაჯულთა მოსალოდნელი სხდომის ჩატარებამდე (§ 49). ამიტომ ამ ნაწილში სასამართლომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 პარაგრაფების დარღვევა დაადგინა.

* პირველად ეს დასკვნა სასამართლომ გააკეთა საქმეში კიკაბიძე საქართველოს წინააღმდეგ, § 65.

7 The judgment of the European Court of Human Rights, *Kikabidze v. Georgia*,16/11/2021, application 57642/12.

ამავე საქმეში სასამართლომ ასევე დაადგინა დარღვევა იმ ფაქტის გამო, რომ ბრალდებულს უარი ეთქვა დაცვის მოწმეთა სიის დაშვებაზე, ვინაიდან ეს სია წარდგენილი იყო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლით დადგენილი ხუთდღიანი ვადის გასვლის შემდეგ. სასამართლოს სხდომის თავმჯდომარის უარი სტრასბურგის სასამართლომ ზედმეტად ფორმალისტურად და კანონის დებულებების ბრალდებულის საზიანოდ ინტერპრეტაციის მცდელობად მიიჩნია. ამას კი შედეგად ის მოჰყვა, რომ ბრალდებულს არ მიეცა სასამართლო პროცესზე დაცვის მხარის არც ერთი მოწმის დაკითხვის შესაძლებლობა. სასამართლოს აზრით, ეს საკმაოდ შემაშფოთებელია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბრალდებულს მძიმე დანაშაულის ჩადენაში ედებოდა ბრალი (§ 57). გარდა ამისა, იმ დროს მოქმედი საპროცესო კოდექსი გამონაკლის შემთხვევებში მტკიცებულებების დაშვების შესაძლებლობას ითვალისწინებდა (§ 58). ამით აშკარად დაირღვა იარაღთა თანასწორობის პრინციპი.

რუსიშვილი საქართველოს წინააღმდეგ საქმის ანალოგიურად, სასამართლომ ამ საქმეშიც დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა სააპელაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო საჩივრის დაუშვებლად დატოვების გადაწყვეტილებაში დასაბუთების არარსებობის მოტივით. მიუხედავად იმისა, რომ ვერდიქტი გამოტანილი იყო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ, სააპელაციო სასამართლოს ეროვნული კანონმდებლობით ჰქონდა იმის შესაძლებლობა, რომ საფუძვლიანად შეემოწმებინა ბრალდებულის საჩივრების საფუძვლიანობა, განსაკუთრებით დაცვის უფლებისა თუ იარაღთა თანასწორუფლებიანობის მოთხოვნის შესაძლო დარღვევებთან დაკავშირებით, რაც სააპელაციო სასამართლომ არ გააკეთა (§ 63-64).

2. სახელმწიფოს საპროცესო ვალდებულებანი

2.1. ეფექტიანი ოფიციალური გამოძიების ჩატარების საპროცესო ვალდებულება

კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლები კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს აკისრებს ამ მუხლებში განმტკიცებული არსებითი უფლებების სავარაუდო დარღვევის ფაქტზე **ეფექტიანი ოფიციალური გამოძიების*** **ჩატარების საპროცესო ვალდებულებას**.[8]

სტრასბურგის სასამართლომ საქართველოს წინააღმდეგ რამდენიმე საქმეზე დაადგინა კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების როგორც არსებითი, ისე საპროცესო ნაწილების დარღვევა. ამჟამად შევეხები მხოლოდ მე-2 მუხლით გათვალისწინებულ საპროცესო დარღვევებს, რომლებიც აჩვენებს, თუ რა გამოწვევების წინაშე დგას ეროვნული სამართალი ამ სფეროში.

მართლსაწინააღმდეგოდ ან საეჭვო ვითარებაში სიცოცხლის ხელყოფის შემთხვევაში **ეფექტიანი ოფიციალური გამოძიების ჩატარება** გულისხმობს სიცოცხლის ხელყოფასთან დაკავშირებული ყველა გარემოების დამოუკიდებელ, ადეკვატურ, სწრაფ და გონივრულ დადგენას.[9]

ეფექტიანი გამოძიების სტანდარტი

* ქართულ ლიტერატურაში გამოიყენება ასევე „ეფექტური გამოძიება“, თუმცა კონტექსტიდან გამომდინარე მართებულია „ეფექტიანი გამოძიება“.

8 The judgment of the European Court of Human Rights, *Armani Da Silva v. the United Kingdom*, 30/03/2016, application 5878/08.

9 The judgment of the European Court of Human Rights, *Armani Da Silva v. the United Kingdom*, 30/03/2016, application 5878/08, § 232, 243, 237.

მოითხოვს, რომ გამოძიებამ სწრაფად და გონივრულად დაადგინოს სათანადო ფაქტები, გამოავლინოს და დასაჯოს პასუხისმგებელი პირები, დაიცვას შემთხვევასთან დაკავშირებული მტკიცებულებები, როგორებიცაა: თვითმხილველთა ჩვენება, ექსპერტიზის შედეგები, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას გარდაცვალების მიზეზზე.[10]

გამოძიების ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირები უნდა იყვნენ დამოუკიდებელი არა მხოლოდ იერარქიული ან ინსტიტუციური, არამედ პრაქტიკული და რეალური დამოუკიდებლობის თვალსაზრისით.[11]

ეფექტიანი გამოძიების სტანდარტი ასევე მოითხოვს, რომ გამოძიება ხელმისაწვდომი იყოს **მსხვერპლის ოჯახისათვის** და მათი ლეგიტიმური ინტერესების დაცვის აუცილებლობისათვის.[12]

ეფექტიანი გამოძიების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია **გამჭვირვალობა**, თუმცა მისი მოცულობა დამოკიდებულია ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებებზე. იმავდროულად, გამოძიების ორგანო არ არის ვალდებული გამოძიების პროცესში დააკმაყოფილოს გარდაცვლილის ნათესავის ყველა მოთხოვნა, რომლებიც კონკრეტული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას უკავშირდება.[13]

სიცოცხლის ხელყოფის ეფექტიანი გამოძიების ვალდებულება განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს მაშინ, როცა ამ ხელყოფაში სახელმწიფოს წარმომადგენლები მონაწილეობენ და მათი, როგორც კანონის უზენაესობის დამცველების მიმართ საზოგადოების ნდობის შენარჩუნების და მათ მიერ ჩადენილი ძალადობის შეფასების აუცილებლობა სახელმწიფოს დაუყოვნებლივ პასუხს და რეაგირებას მოითხოვს.[14]

2.2. ეფექტიანი გამოძიების სტანდარტის დარღვევა ქართულ საქმეებში

სტრასბურგის სასამართლომ რამდენიმე ქართულ საქმეზე დაადგინა ეფექტიანი გამოძიების სტანდარტის დარღვევა. კერძოდ, დარღვევა გამოიხატა ერთდროულად ისეთი მოთხოვნების შეუსრულებლობაში, როგორებიცაა: გამოძიების დამოუკიდებლობა, ოჯახის წევრისთვის დაზარალებულის სტატუსით პროცესში ჩართვის შეუძლებლობა, მტკიცებულებათა არასათანადო შეფასება, გამოძიების არასრულყოფილება და მიკერძოებულობა, მართლმსაჯულების გაჭიანურება, დაზარალებულის სიცოცხლის არასათანადო დაცვა,[15] გამოყენებული სასჯელის არაპროპორციულობა.

10 The judgment of the European Court of Human Rights, *Ramsahai and Others v. the Netherlands*, 15/05/2007, application 52391/99, § 324.

11 The judgment of the European Court of Human Rights, *Aliyev and Gadzhiyeva v. Russia*, 12/07/2016, application 11059/12, § 96.

12 The judgment of the European Court of Human Rights, *Hugh Jordan v. the United Kingdom*, 04/05/2001, application 24746/94, § 109.

13 The judgment of the European Court of Human Rights, *Velcea and Mazâre v. Romania*, 01/12/2009, application 64301/01, § 113.

14 The judgment of the European Court of Human Rights , *Brecknell v. the United Kindgdom*, 27/11/2007, application 32457/04.

15 მაგალითად, The judgment of the European Court of Human Rights, *Vazagashvili and Shanava v. Georgia*, 18/07/2019, application 50375/07.

ა. გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყების მოთხოვნა

საქმეში *კუხალაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ,* რომელიც ეხებოდა საპოლიციო ოპერაციის განხორციელებისას პოლიციის მიერ ლეტალური იარაღის გამოყენების შედეგად სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფ პირთა მკვლელობის გამოძიების შესაბამისობას კონვენციის მე-2 მუხლთან, დარღვევა დადგინდა იმის გამო, რომ სამართალდაცვის ორგანოების მიერ ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული **გამოძიება დაიწყო სამი თვის დაგვიანებით** იუსტიციის სამინისტროს იმავე დაწესებულების მიერ, რომელმაც გასცა ციხის აღების ბრძანება და რომელიც პირდაპირ ხელმძღვანელობდა სპეცდანიშნულების რაზმს. სასამართლოს აზრით, **დაირღვა გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყებისა და მისი დამოუკიდებლობის მოთხოვნა** (§ 132). ეს დასკვნა უფრო გაამყარა იმ გარემოებამ, რომ ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები საერთოდ უარს აცხადებდნენ ძალის არაპროპორციული გამოყენების ფაქტზე გამოძიების დაწყებაზე.

საქმეში *თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ*[16] სასამართლომ სახელმწიფოს მხრიდან გამოძიების ჩატარების ვალდებულების დარღვევა დაადგინა იმის გამო, რომ სამართალდაცვის ორგანოების უმოქმედობის ფაქტზე, რასაც ოჯახში ძალადობის ნიადაგზე პირის მკვლელობა მოჰყვა, **სახელმწიფოს საერთოდ არ დაუწყია გამოძიება**. კერძოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ სამართალდამცავი ორგანოების უმოქმედობა წარმოადგენდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლის გარდაცვალების ერთ-ერთ მიზეზს. იმის გათვალისწინებით, რომ ხელისუფლებამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა მსხვერპლის მიმართ არსებული მაღალი რისკების თაობაზე, თუკი საპოლიციო მოვალეობები არ შესრულდებოდა, სასამართლომ მიიჩნია, რომ პოლიციელების გულგრილობა გასცდა უბრალო შეცდომას ან დაუდევრობას. ამასთან, პროკურატურამ უგულებელყო მომჩივნის არაერთი სისხლის სამართლის საჩივარი და არ დაინტერესდა იმ პოლიციელთა ვინაობის დადგენით, რომელთა უმოქმედობამაც შეუწყო ხელი მსხვერპლის მკვლელობას. პოლიციის უმოქმედობასთან დაკავშირებით დისციპლინური წარმოებაც არ დაწყებულა, მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანმა საჩივარი წარუდგინა პოლიციელთა დისციპლინური ზედამხედველობის ორგანოს.[17]

სამართალდაცვის ორგანოების უმოქმედობა და დაუდევრობა გახდა საოჯახო ძალადობის ფარგლებში ახალგაზრდა ქალის მკვლელობის ერთ-ერთი მიზეზი საქმეში *ა. და ბ. საქართველოს წინააღმდეგ*. მიუხედავად იმისა, რომ მკვლელი პოლიციის თანამშრომელი იყო და მსხვერპლის მიმართ მის მიერ გამოხატული მრავალი მუქარა სამართალდაცვის ორგანოებისთვის ცნობილი იყო, მათ არაფერი გააკეთეს ამ ფატალური შედეგის თავიდან ასაცილებლად. იმის გამო, რომ კომპეტენტურ საგამოძიებო ორგანოებს არავითარი რეაგირება არ მოუხდენიათ მუქარის ამ ფაქტებზე და არ დაუწყიათ გამოძიება, სასამართლომ ამ საქმეში სახელმწიფოს როგორც საპროცესო, ისე არსებითი ვალდებულების დარღვევა დაადგინა.[18]

16 The judgment of the European Court of Human Rights, *Tkhelidze v. Georgia,* 8/07/2021, application 33056/17.

17 შეადარეთ, The judgment of the European Court of Human Rights, *Bljakaj and Others v. Croatia*,18/09/2014, application 74448/12.

18 The judgment of the European Court of Human Rights, *A. and B. v. Georgia*, 10/05/2022, application 73975/16.

ბ. დამოუკიდებელი გამოძიების მოთხოვნა

ეფექტიანი გამოძიების სტანდარტის და, შესაბამისად, კონვენციის მე-2 მუხლის ფართომასშტაბიანი დარღვევა ქართულ საქმეებში სტრასბურგის სასამართლომ პირველად დაადგინა საქმეში *ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ.* **გამოძიების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნა,** სასამართლოს აზრით, გამოძიების პირველივე დღიდან იქნა დარღვეული. მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირების ჩართულობა გირგვლიანის მკვლელობაში თავიდანვე ცხადი იყო, ეს სამინისტრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში კვლავ გამოძიების მწარმოებელ ორგანოდ რჩებოდა (§ 245-246). ამგვარ ინსტიტუციურ კავშირს და, უფრო მეტიც, იერარქიულ სუბორდინაციას შსს-ს მაღალი თანამდებობის პირებსა და საქმის მონაწილე გამომძიებლებს შორის, სასამართლომ გამაოგნებელი უწოდა იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კაფეში შეკრებილი და მოკლულთან დაპირისპირებული ჯგუფის ერთ-ერთი წევრი მოგვიანებით მკვლელობის გამოძიების ხელმძღვანელი გახდა. ეს აშკარა დარღვევა კიდევ უფრო დაამძიმა საზოგადოებისათვის ამ გარემოების დამალვის ფაქტმა (§ 247) და იმან, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა დაუყოვნებლივ არ გადასცა საქმე სხვა უწყებას, „მას შემდეგ, რაც შეიტყო, რომ ამ საქმესთან გარკვეული კავშირი უნდა ჰქონოდათ მის ხელქვეითებსა და, შესაძლოა, მის მეუღლესაც“ (§ 248).

საქმეში *ვაზაგაშვილი და შანავა საქართველოს წინააღმდეგ* **დამოუკიდებელი გამოძიების მოთხოვნა დაირღვა** იმით, რომ საპოლიციო ოპერაციის განხორციელების შემდეგ, რომელსაც მომჩივნების შვილის სიკვდილი მოჰყვა, **თავდაპირველი საგამოძიებო მოქმედებები ჩატარებულ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური დეპარტამენტის, იგივე პოლიციელების მიერ, რომლებიც ოპერაციაში მონაწილეობდნენ**. მათ მიერ მოპოვებულ მტკიცებულებებს მოგვიანებით დაეყრდნო პროკურატურა პოლიციის მიერ ძალის გამოყენების პროპორციულობის საქმის გამოძიების პირველ ეტაპზე. სასამართლოს აზრით, შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ოფიცრების მიერ ჩატარებული უმთავრესი და გადამწყვეტი მნიშვნელობის საგამოძიებო მოქმედებები „აშკარად მოკლებული იყო დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას“. ასეთ საპროცესო ხარვეზს შეუძლებელი იყო არ გაემრუდებინა გამოძიების სათანადო მიმართულება (§ 87).*

საქმეში *შავაძე საქართველოს წინააღმდეგ* **გამოძიების დამოუკიდებლობის მოთხოვნა დაირღვა** იმით, რომ პირველი საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა შსს-ს გამომძიებლების მიერ მაშინ, როცა მოქალაქე შავაძე მოკლული იყო სწორედ შსს-ს პოლიციის ოფიცრების მიერ, რითაც არა მხოლოდ კონვენციის სტანდარტი, არამედ ეროვნული საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებიც უხეშად იქნა დარღვეული. მოგვიანებით პროკურატურა ამ საქმეშიც მთლიანად დაეყრდნო პოლიციის მიერ პირველადი საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებულ მასალებს. გარდა ამისა, მოკლულის ოჯახის წევრს არ მიენიჭა არანაირი სტატუსი, რომელიც მას საპროცესო უფლებების გამოყენების შესაძლებლობას მისცემდა (§ 35).

* სტრასბურგის სასამართლომ დამოუკიდებელი გამოძიების მოთხოვნის დარღვევა საქართველოს წინააღმდეგ კიდევ რამდენიმე საქმეზე დაადგინა, მაგრამ ერთ-ერთი პირველი იყო *ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ*, § 245-249.

გ. დაზარალებულის სტატუსი

საქმეში *ვაზაგაშვილი და შანავა საქართველოს წინააღმდეგ* წინასწარი გამოძიების ერთ-ერთი სერიოზული ხარვეზი, სასამართლოს შეფასებით, იყო თბილისის პროკურატურის მიერ მომჩივნების – საპოლიციო ოპერაციის დროს მოკლული პირის მშობლების – სრული იგნორირება და გამოძიებაში **დაზარალებულის სტატუსით** მათ ჩართვაზე უარის თქმა, რითაც მათ წაერთვათ საქმის წარმოების შეწყვეტის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა (§ 88). ამით მომჩივნებს გამოძიების დასაწყისიდანვე ჩამოერთვათ წინასწარ გამოძიებაში ჩართვისა და საპროცესო გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობა. გარდა ამისა, დაზარალებულის სტატუსის არქონის მიუხედავად, მოკლულის მამის მიერ თავისი ინიციატივით შეკრებილი მნიშვნელოვანი მტკიცებულებები გამოძიების განახლებისა და მკვლელობაში მონაწილე პირთა გასამართლების საფუძველი გახდა. სასამართლოს აზრით, ის ფაქტი, რომ მამა მოგვიანებით შვილის საფლავზე მოწყობილი აფეთქების მსხვერპლი გახდა, განპირობებული იყო მისი საზოგადოებრივი აქტივობით, რომ გამოეაშკარავებინა შვილის მკვლელობისათვის პასუხისმგებელი პოლიციელების ქმედებები. გამოძიების როლის საკუთარ თავზე აღებით, რაც ჩვეულებრივ ხელისუფლების ვალდებულებას წარმოადგენს, პირველმა მომჩივანმა (მოკლულის მამამ) თავი ჩაიყენა შურისძიების აშკარა საფრთხეში. ამ საქმის ტრაგიკული გაგრძელება (მამის აფეთქება მოკლული შვილის საფლავზე), სტრასბურგის სასამართლოს შეფასებით, იმის აშკარა მაგალითია, თუ როგორი თვალშისაცემად საზიანოა ხელისუფლების არასათანადო გულისხმიერება სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის საქმეებზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა ადგილი აქვს პოლიციის მიერ უფლებამოსილების გადამეტებას (§ 90).

საქმეში *ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ* სასამართლოს შეფასებით, **გამოძიების ობიექტურობისა და კეთილსინდისიერების მოთხოვნის** სერიოზული დარღვევა გამოიწვია პროკურატურის „ჯიუტმა უარმა“ მოკლულის მშობლებისათვის ნება დაერთო მონაწილეობა მიეღოთ მნიშვნელოვან საგამოძიებო მოქმედებებში. უფრო მეტიც, მათ საგამოძიებო მოქმედებების შედეგების გაცნობის შესაძლებლობაც კი არ მიეცათ (§ 250). სასამართლოს აზრით, თბილისის პროკურატურამ საგამოძიებო მოქმედებები აშკარად არასწორი მიმართულებით წაიყვანა, რაც განსაკუთრებით გამოიხატა მოწმეთა ჩვენებების დამახინჯებაში, საქმისათვის მნიშვნელოვან პირთა დაკითხვის იგნორირებასა და იმაში, რომ პროკურატურამ არ გამოიკვლია გირგვლიანის სხეულის სხვადასხვა ნაწილებში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი ჭრილობების გარემოებები (§ 253-256).

სასამართლოს აზრით, პროკურატურის მიდრეკილება დაემახინჯებინა ფაქტები შესაბამის ოქმებში და არ მიეცათ მოკლულის წარმომადგენლებისათვის საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობა, გამაოგნებლად გაგრძელდა საქმის სასამართლოში განხილვის ეტაპზე: სასამართლოების სისტემატური უარით განმცხადებლებს არ მიეცათ დრო და საშუალება საქმის მასალების შესასწავლად, განსაკუთრებით ძირითადი მტკიცებულებების გასაცნობად, რითაც აშკარად დაირღვა **შეჯიბრებითობისა და მიუკერძოებელი მოსამართლის პრინციპი.** სასამართლომ გამაოგნებლად მიიჩნია ის ფაქტი, რომ ასეთი რთული საქმის განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში მხოლოდ 9 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, რამაც შეუძლებელი გახადა საქმის მასალების გაცნობა არა მხოლოდ

დაზარალებულებისთვის, არამედ თვით მოსამართლეებისთვისაც კი (§ 259).

ეროვნული სასამართლოების მიერ საქმის განხილვამ, სასამართლოს შეფასებით, დაადასტურა ის ფაქტი, რომ „შიდა სახელმწიფო ორგანოებს აშკარად არ ჰქონდათ სურვილი დაედგინათ ობიექტურად და დამაჯერებლად სრული ჭეშმარიტება სანდრო გირგვლიანის გატაცებისა და სიკვდილის გარემოებების შესახებ“ (§ 267).

საქმეში *კუხალაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ,* სასამართლოს აზრით, **გამოძიების არაეფექტიანობა** განაპირობა იმანაც, რომ გარდაცვლილი პირების ოჯახის წევრებს არ მიენიჭათ **დაზარალებულის სტატუსი** და მათ ვერ შეძლეს საპროცესო უფლებების გამოყენება, ასევე იმან, რომ გამოძიება არ მისულა რაიმე დასკვნამდე (§ 135).

დ. მტკიცებულებების არასათანადო შეფასება

მტკიცებულებების არასათანადო შეფასება მორიგი ხარვეზია, რომელიც სასამართლომ საქმეში – *ვაზაგაშვილი საქართველოს წინააღმდეგ* – დაადგინა. კერძოდ, პროკურატურამ უგულებელყო ორი დამოუკიდებელი მოწმის ჩვენება, რომლებმაც დაადასტურეს, რომ წითელ შუქნიშანზე გაჩერებული ავტომანქანის მგზავრებს, რომელთა შორის იმყოფებოდა ოპერაციის დროს მოკლული მომჩივნის შვილიც, არასდროს გამოუვლენიათ შეიარაღებული წინააღმდეგობა პოლიციის მიმართ. არადა, შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის ფაქტის სათანადო შემოწმება აუცილებელი იყო პოლიციის მიერ ძალის გამოყენების პროპორციულობის საკითხის შეფასებისთვის. სასამართლოსთვის ეს საკმარისი აღმოჩნდა იმის დასადგენად, რომ ჩატარებული წინასწარი გამოძიება არ იყო სრულყოფილი, ობიექტური და მიუკერძოებელი (§ 88).

ე. გამოძიების განზრახ გაჭიანურება

საქმე *საყვარელიძე საქართველოს წინააღმდეგ*[19] ეხება 2003 წლის 22 ნოემბერს თბილისში სახელმწიფოს წარმომადგენლის მართვის ქვეშ მყოფი სამხედრო ჯავშანტრანსპორტიორის მიერ ქუჩაზე მოძრავი ავტომანქანის დაჯახების შედეგად მანქანაში მსხდომი პირების დაღუპვის ფაქტის გამოძიებას. 2003 წლის 23 ნოემბერს დაწყებული გამოძიება 2017 წლის 1 მარტს, საგზაო შემთხვევიდან 16 წლის შემდეგ, უშედეგოდ დასრულდა. სტრასბურგის სასამართლომ ამ საქმეზე სახელმწიფო ორგანოების მხრიდან **გამოძიების განზრახ გაჭიანურება დაადგინა,** რაც დანაშაულის ხანდაზმულობისა და ბრალეული პირის დასჯის შეუძლებლობის ერთადერთი მიზეზი გახდა (§ 54).

საყურადღებო ამ საქმეში, სასამართლოს აზრით, არის ის, რომ დაუყოვნებლივ დაწყებული გამოძიებისა და პირველი გადაუდებელი და მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, რომელთაც შეეძლოთ ასევე სწრაფად და პოზიტიურად დაესრულებინათ შედარებით მარტივი საქმე, მოგვიანებით გამოძიება სასამართლოსათვის უცნობი მიზეზით მრავალჯერ შეჩერდა და განახლდა. გამოძიების შეჩერებისა და განახლების ეტაპებს შორის იყო უმოქმედობის ხანგრძლივი პერიოდები, რომლებმაც განაპირობეს გამოძიების არაეფექტიანობა და რომლის მიზეზების ახსნა მთავრობამ ვერ შეძლო (§ 54).

სასამართლომ **საქმის წარმოების გაჭიანურება დაადგინა** *ვაზაგაშვილის*

19 The judgment of the European Court of Human Rights, *Sakvarelidze v. Georgia*, 06/02/2020, application 40394/10.

საქმეშიც. მიუხედავად იმისა, რომ მომჩივნის შვილის მკვლელობაში მონაწილე პოლიციელები დანაშაულის ჩადენიდან 9 წლის შემდეგ გასამართლდნენ და სასჯელიც დაეკისრათ, სასამართლოს აზრით, გამოძიების საწყის ეტაპზე გამოვლენილმა ხარვეზებმა განაპირობეს მისი გაჭიანურება, რითაც დაირღვა გამოძიების სწრაფად და გონივრულად ჩატარების ვალდებულება (§ 89).

საქმეში *შავაძე საქართველოს წინააღმდეგ* **გამოძიების არაეფექტიანობა** დადასტურდა იმით, რომ 2008 წელს ჩადენილი დანაშაულის გამოძიებას 2020 წელსაც რაიმე კონკრეტული დასკვნა არ გაუკეთებია და ის რაიმე შედეგამდე არ მისულა. შესაბამისად, სასამართლოს აზრით, სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული საპროცესო ვალდებულება (§§ 36-37).

2.3. მკვლელობაში მონაწილე საჯარო მოხელეთა მიმართ გამოტანილი სასჯელის არაპროპორციულობა

სახელმწიფოს საპროცესო ვალდებულება არ შემოიფარგლება მხოლოდ გამოძიების ჩატარებით და ის **საქმის სასამართლო განხილვასაც** მოიცავს. მე-2 მუხლით გათვალისწინებული სიცოცხლის დაცვის სტანდარტი ეროვნული სასამართლოებისგან მოითხოვს, რომ **სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული არ დარჩეს დაუსჯელი.** მართალია, სტრასბურგის სასამართლო სასჯელის შეფარდების საკითხს ეროვნული სასამართლოების პრეროგატივად აღიარებს, საჯარო მოხელეების მიერ ჩადენილი მკვლელობის საქმეებზე ის მაინც აფასებს, ხომ არ არის გამოყენებული სასჯელი აშკარად არაპროპორციული ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან მიმართებით.[20]

საქმეში *ვეზაგაშვილი და შანავა საქართველოს წინააღმდეგ* სტრასბურგის სასამართლომ პოლიციელების მიერ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობისათვის დანიშნული 16 წლით თავისუფლების აღკვეთა, მაშინ, როცა სასამართლოს შეეძლო ოცი წლით თავისუფლების აღკვეთის ან უვადო პატიმრობის მისჯა, **აშკარად არაპროპორციულად** მიიჩნია. ამ შეფასებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ სასჯელის შეფარდების დროს საქმის განმხილველი სასამართლოსთვის ცნობილი იყო, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის კანონით ეს სასჯელი ერთი მეოთხედით შემცირდებოდა. ამასთან, სასამართლომ გაიმეორა სხვა გადაწყვეტილებებში განვითარებული დებულება, რომ: „როდესაც სახელმწიფო მოხელე, კერძოდ, სამართალდამცავი, ბრალდებულია დანაშაულში, რომელიც არღვევს კონვენციის მე-2 მუხლს, ამნისტიის ან შეწყალების გამოყენება არ უნდა იყოს დაშვებული“ (§ 92).[21]

სტრასბურგის სასამართლო **სახელმწიფოებისგან მოელის სამართალდამცველების მკაცრ დასჯას,** როცა მათ ბრალი ედებათ სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ მძიმე დანაშაულში, რადგან ამ შემთხვევაში გადამწყვეტია არა დამნაშავის ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის

20 მაგალითად, The judgment of the European Court of Human Rights, *Armani Da Silva v. the United Kingdom*,30/03/2016, application 5878/08, § 238. The judgment of the European Court of Human Rights, *Enukidze and Girgvliani v. Georgia*, 26/07/2011, application 25091/07.

21 შესაბამისი მითითებები სასამართლოს სამოსამართლო სამართალზე: *Nina Kutsenko v. Ukraine*, 18/07/2017, application 25114/11, § 149. *Ali and Ayse Duran v. Turkey*, 08/04/2008, application 42942/02.

საკითხი, არამედ სახელმწიფოს ვალდებულება, ებრძოლოს დამნაშავის განწყობას, რომ თავისი სამსახურის წყალობით ის შეიძლება დაუსჯელი დარჩეს. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს სამართალდაცვის სისტემისადმი საზოგადოების ნდობასა და პატივისცემას (§ 92).*

სასამართლომ არაადეკვატურად მიიჩნია ასევე შედარებით ნაკლებად მძიმე დანაშაულში მსჯავრდებული პოლიციელებისათვის საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლების არჩამორთმევა, რითაც მათ თორმეტწლიანი სასჯელის მოხდის შემდეგ უნარჩუნდებოდათ შესაძლებლობა, კვლავაც დასაქმებულიყვნენ ძალოვან სტრუქტურებში (§ 93).

სტრასბურგის სასამართლო არ შემოიფარგლება მხოლოდ გამოყენებული სასჯელის ადეკვატურობის შემოწმებით და საჭიროების შემთხვევაში მისი შეფასების საგანი შეიძლება ამ **სასჯელის აღსრულების პროცესიც** გახდეს.

საქმეში *ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ* სტრასბურგის სასამართლომ იმსჯელა არა მხოლოდ დანიშნული სასჯელის პროპორციულობაზე, არამედ შემდგომში ამ სასჯელის აღსრულების წესზეც (§ 269). ამ საქმეში სასამართლომ გამოყენებულ სასჯელთან ერთად მკაცრი შეფასება მისცა **ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციის** საკითხსაც. კერძოდ, მისი აზრით, საგამოძიებო ორგანოებმა არ მოამზადეს, ხოლო სასამართლოებმა თავი არ შეიწუხეს და არ იმსჯელეს თავიანთ გადაწყვეტილებებში, თუ რა ხასიათის იყო დამნაშავეთა მიერ ჩადენილი ქმედებები, რომლებმაც პირის სიკვდილი გამოიწვია (§ 270). კონკრეტულად, ეროვნულმა სასამართლოებმა სათანადო შეფასება და სამართლებრივი კვალიფიკაცია არ მისცეს იმ ფაქტს, რომ „სანდრო გირგვლიანი გახდა განსაკუთრებით სასტიკი, სიცოცხლისათვის საშიში, არადამიანური მოპყრობის მსხვერპლი“ და, რომ „ბოროტმოქმედს (ბოროტმოქმედებს) რეალურად განზრახული ჰქონდათ მოეკლა (მოეკლათ) სანდრო გირგვლიანი“. სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს ეს დამამძიმებელი გარემოებები და დამნაშავეებს სასჯელის სახით მხოლოდ 7-8 წელი განუსაზღვრეს (§ 272).

რაც შეეხება **სასჯელის აღსრულების წესს,** სასამართლო გაოგნებული იყო იმ ფაქტით, რომ „საქართველოს პრეზიდენტმა მიზანშეწონილად მიიჩნია ესოდენ შემზარავ დანაშაულში მსჯავრდებული სახელმწიფო მოხელეების შეწყალება და მათთვის სასჯელის დარჩენილი ვადის განახევრება“ და, რომ შეწყალების ამ უპრეცედენტო აქტის შემდეგ სასჯელაღსრულების ადმინისტრაციის რეკომენდაციით და შესაბამისი შიდა სასამართლოს გადაწყვეტილებით, მსჯავრდებულები პირობით ვადამდე გათავისუფლდნენ (§ 273). სასამართლოს აზრით, სამართლიანი იყო საზოგადოების პროტესტი, რომელმაც არასაკმარისად ჩათვალა სამი წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა შინაგან საქმეთა სამინისტროს ოთხი მაღალი თანამდებობის პირისათვის, რომლებმაც სასტიკად, არაადამიანურად აწამეს და მოკლეს უდანაშაულო ადამიანი (იქვე).

სასამართლოს შეფასებით, ამგვარი არაგონივრული ლმობიერების გამო, ოთხი მოხელის მიმართ განხორციელებულ სისხლისსამართლებრივ დევნას დაეკარგა ყოველგვარი ეფექტურობა, რასაც მოითხოვს კონვენციის მე-2 მუხლი (§ 275).

* ანალოგიური პოზიცია გამოხატა სასამართლომ უფრო ადრე საქმეში *ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ*, § 274.

ო

man Rights, *Aliyev and Gadzhiyeva v. Russia*, 12/07/2016, application 11059/12, § 96. (in English)
12. The judgment of the European Court of Human Rights, *Hugh Jordan v. the United Kingdom*, 04/05/2001, application 24746/94, § 109. (in English)
13. The judgment of the European Court of Human Rights, *Velcea and Mazâre v. Romania*, 01/12/2009, application 64301/01, § 113. (in English)
14. The judgment of the European Court of Human Rights , *Brecknell v. the United Kindgdom*, 27/11/2007, application 32457/04. (in English)
15. The judgment of the European Court of Human Rights, *Vazagashvili and Shanava v. Georgia*, 18/07/2019, application 50375/07. (in English)
16. The judgment of the European Court of Human Rights, *Tkhelidze v. Georgia,* 8/07/2021, application 33056/17. (in English)
17. The judgment of the European Court of Human Rights, *Bljakaj and Others v. Croatia*,18/09/2014, application 74448/12. (in English)
18. The judgment of the European Court of Human Rights, *A. and B. v. Georgia*, 10/05/2022, application 73975/16. (in English)
19. The judgment of the European Court of Human Rights, *Sakvarelidze v. Georgia*, 06/02/2020, application 40394/10. (in English)
20. The judgment of the European Court of Human Rights, *Armani Da Silva v. the United Kingdom*,30/03/2016, application 5878/08, § 238. The judgment of the European Court of Human Rights, *Enukidze and Girgvliani v. Georgia,* 26/07/2011, application 25091/07. (in English)
21. *Nina Kutsenko v. Ukraine*, 18/07/2017, application 25114/11, § 149. *Ali and Ayse Duran v. Turkey*, 08/04/2008, application 42942/02. (in English)